მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N6

ქ. მარნეული 03.04.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, ქამილ ალიევი, რამიზ გიულმამედოვი, ისმაილ ბაირამოვი, ჯოშგუნ ზეინალოვი, რაგიმ ასკეროვი, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, არსენ ახვერდიანი, სულეიმან ხალილოვი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, მახირ იუსუბოვი, ელხან მუფტიევი, რაფიკ ჯაფაროვი.

არ ესწრებოდა: - გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ლევონ აკოპიანი, გივი ქველაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, სადრადინ ტალიბოვი, აგილ ფაშაევი. .

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე **ზაურ ტაბატაძე,** მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი,** მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია.**

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1.მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მარტის N03/2505 წერილის განხილვის შესახებ.

3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მარტის N03/2507 წერილის განხილვის შესახებ.

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 21 მარტის N1212-03 მოხსენებიტი ბარათის განხილვის შესახებ.

5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 28 მარტის N1345-03 მოხსენებიტი ბარათის განხილვის შესახებ.

6. მარნეულის სოფელ წერეთელში მცხოვრები კოკი ხარშილაძის განცხადების განხილვის შესახებ.

7. პოეტ მახმუდ გაჯიხალილოვის განცხადების განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N16. 03.04.2017 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მარტის N03/2505 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, წერეთლის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საიმერლოში მდებარე 30 382 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N83.04.05.618) და მასზედ განთავსებული შენობა - ნაგებობები პირდაპირი განკარგვის ფორმით, უვადოდ, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადასცეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N33. 03.04.2017 წ).

3-4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე და მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 15 მარტის N03/2507 და 2017 წლის 23 მარტის N03/2866 წერილებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს მარნეულის მუნიციპალიტეტის ქონების უსასყიდლო სარგებლოს უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემა მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირზე ,,სუფთა მარნეული“: 1.თვითმცლელი ნაგავმზიდი, მოცულობა 13მ³, შასის # NMB95050112181196, სახ.ნომერი OW 704 OW,

ღირებულება 249 971,04 ლარი; 2.თვითმცლელი ნაგავმზიდი, მოცულობა 20მ^3 , შასის # NMB37537312181353, სახ.ნომერი OW 705 OW, ღირებულება 301 501,31 ლარი; 3.100 (ასი) ერთეული ნაგვის ურნა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N32. 03.04.2017 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 28 მარტის N03/3188 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის კ) ქვეპუნქტის საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს საგზაო ნიშნის განთავსება ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N78ა, კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ,,საქართველოს ბანკი“-სა და ,,თი-ბი-სი“ ბანკს შორის, ზემოაღნიშნულ კორპუსთან შემავალი გზის დასაწყისთან ამკრძალავი საგზაო ნიშანი N3.27 ,,გაჩერება აკრძალულია“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N34. 03.04.2017 წ).

6-7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე და მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მახმუდ გაჯიხალილოვის (რეგ. N60/05. 09.02.2017 წ) და კოკი ხარშილაძის (რეგ. N35/05. 25.01.2017 წ) განცხადებების გათვალისწინებით, სთხოვა ნხარდაჭერა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს მახმუდ გაჯიხალილოვისა და კოკი ხარშილაძისათვის თითოეულზე 700 ლარის გადარიცხვა ლექსების კრებულის გამოსაცემად, ფინანსური დახმარების სახით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N31. 03.04.2017 წ).

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საკრებულოს წევრმა ქამილ ალიევმა ითხოვა გაეწიოს ფინანსური დახმარება ახმედ ისმაილოვს, რომელიც ავარჯიშებს საფეხბურთო გუნდს და ესაჭიროება გუნდის წევრების ფინანსური წახალისება. გამოითქვა აზრი, რომ ახმედ ისმაილოვის მიერ განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია, რისთვისაც ამ ეტაპზე ვერ მოხერხდება მისთვის ფინანსური დახმარების გაწევა, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეექვსე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი